ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წლის აპრილში, ვიმყოფებოდი ესპანეთში, კერძოდ ქალაქ გრანადაში ერასმუსის აკადემიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ჩემი მასპინძელი ლექტორი იყო Rodrigo Martin-Rojas, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტიდან.

ბნ. როდრიგო 2024 წლამდე ასრულებდა აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორის მოვალეობას, შესაბამისად ძალიან კარგად ერკვეოდა თითოეულ ნიუანსში, რაც მნიშვნელოვანია სტუმარი ლექტორისთვის და რაც საბოლოო ჯამში გაძლევს ეფექტიანი ლექციების ჩატარების საშუალებას.

ადმინისტრაციული საკითხების დასალაგებლად თავდაპირველად შევხდი გრანადას უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ოფისის წარმომადგენელს, ქბნ ესტერს, რომელმაც გულითადად მიმიღო და დამაკვალიანა დეტალურად.

აგრეთვე უშუალოდ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ადმინისტრაციულ გუნდთანაც გავმართეთ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. მოხიბლულები არიან საქართველოთი და გეგმავენ ვიზიტს.

მომდევნო საქმიანი შეხვედრა შედგა აღნიშნული ფაკულტეტის დეკანთან ბნ ალბერტოსთან. ვისაუბრეთ , გავცვალეთ იდეები, შევთანხმდით რომ საქმიანი ურთიერთობების საგნის არსებობა აუცილებელია მათ ფაკულტეტზეც, რადგან უკეთესად იყოს წინ წამოწეული მარკეტინგის და გაყიდვების ეფექტიანობა სამომავლოდ მათი კურსდამთავრებულების კარიერაში.

მას შემდეგ რაც გაიგეს რომ აგრეთვე კონტენტ კრეატორი ვარ და გამომწერების არც თუ ისე ცოტა რაოდენობა მყავს სოციალურ მედიაში, აღფრთოვანდნენ და თავად შემომთავაზეს გადამეღო რაც შეიძლება მეტი ფოტო და ვიდეო მასალა, დამონტაჟების შემდეგ კი მომენიშნა მათი ფაკულტეტის ოფიციალური გვერდი. ისინი ახლა იწყებენ სოციალურ მედიაში პიარკამპანიის წარმოებას და როგორც ჩანს ჩვენი ხედვები საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც გადაიკვეთა.

რაც შეეხება სალექციო პროცესს, შეხვედრა გაიმართა კომპიუტერული მეცნიერების სკოლის სტუდენტებთან. მაქსიმალური დასწრება გვქონდა, ჯამში 60 სტუდენტი. თავიდან ბნ როდრიგო შიშობდა უკუკავშირთან დაკავშირებით ენის ბარიერის და ასევე სტუდენტების პროფესიული ჩვევის გამო. თუმცა.....

თუმცა სტუდენტები იმაზე მეტად გაიხსნენ , ვიდრე მოლოდინი მქონდა. დაისვა შეკითხვები, შედგა პოლემიკა, ვითამაშეთ სიტუაციურ როლური თამაშები. ჩემ მიერ ახსნილ სალექციო მასალებზე დაყრდნობით ბნ როდრიგო ატარებდა სემინარებს. აგრევე მთხოვეს პრეზენტაციის დატოვებას თუ შევძლებდი რომ აეტვირთათ მათ elearning -ის სისტემაზე.

ყველაზე სასიამოვნო ნაწილი ლექციის დასასრულს გაჟღერებული აპლოდისმენტები იყო .

სალექციო კურსი მოიცავდა:

- წარდგენას,
- პრეზენტაციას საქართველოს შესახებ,
- შესავალ ნაწილს მენეჯმენტში,
- კონფლიქტ მენეჯმენტს,
- ლიდერობას და ლიდერობის სტილებს.

საბოლოოდ გადმომცეს სერთიფიკატი და სამომავლო თანამშრომლობის სურვილით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

თ. ღლონტი